პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 1949 წ. № 223 (8526). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

დიდი ოქტომბრის უძლეველი დროშა — „პრავდის" 8-XI მოწინავე (1-ლი გვერდი).
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომის მისალმება ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).
თბილისის მშრომელთა ზეიმი (მე-2 გვერდი).
ოქტომბრის დღესასწაული მოსკოვში (მე-3 გვერდი).
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის ზეიმი საქართველოში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის დღესასწაული თბილისში 1949 წლის 7 ნოემბერს. მთავრობის ტრიბუნაზე არიან (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები კ. ციმაკურიძე, ს. იუხანოვი, ზ. კეცხოველი, ვ. ცხოვრებაშვილი, ნ. რუხაძე, ვ. ბაქრაძე, რ. შადური, ზ. ჩხუბიანიშვილი, კ. ჩარკვიანი, არმიის გენერალი ა. ანტონოვი, მ. ლელაშვილი, ვ. ბოგუა, მ. ბარამია, გ. ზამბახიძე, ა. თოფურიძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

დიდი ოქტომბრის უძლეველი დროშა

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით დღესასწაულობს საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. გუშინ მოსკოვში შედგა ჯარების ტრადიციული პარადი და მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა. მშრომელთა მძლავრი საოქტომბრო დემონსტრაციები გაიმართა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ქალაქში. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა ცხადყო თავისი ერთგულება ოქტომბრის რევოლუციის უძლეველი დროშისადმი, კომუნიზმის დროშისადმი, თავისი დარაზმულობა ბოლშევიკების გმირი პარტიის გარშემო, თავისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

ჩვენს ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის წლისთავს დღესასწაულობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მას აღნიშნავს მილიონობით ჩვენი მეგობარი მთელ მსოფლიოში.

საზეიმოდ აღნიშნავს რა დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს, საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით ავლებს თვალს თავისი ბრძოლისა და მუშაობის შედეგს. საბჭოთა ხელისუფლების ოცდათორმეტი წლის მანძილზე ჩვენმა სამშობლომ შესანიშნავი გზა განვლო. ის სოციალიზმის დიად გამარჯვებათა უკვდავი სახელით შეიმოსა.

ის დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა, როგორც დიადი სტალინური ეპოქა. ამხ. გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შესახებ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე მოგვცა საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა და მკაფიო ანალიზი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი სისტემის — სოციალიზმის სისტემისა და კაპიტალიზმის სისტემის — უდიდეს შეჯიბრებაში აშკარად გამოჩნდა სოციალისტური სისტემის უპირატესობა.

ჩვენი ქვეყნის—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — გამარჯვება ჭეშმარიტად დიადია. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში არასოდეს ესოდენ დარაზმული არ ყოფილან ხალხები, რომლებიც მის თვალუწვდენ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ჩვენს სამშობლოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს არა ჰქონია ესოდენ სამართლიანი და კარგად მოწყობილი სახელმწიფო საზღვრები. ჩვენი სამშობლო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს არა ყოფილა გარშემორტყმული ჩვენი სახელმწიფოსადმი ესოდენ მეგობრული მეზობელი ქვეყნებით. ამჟამად ჩვენი მეზობლები არიან დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით სახალხო დემოკრატიის ქვეყნები—პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ხოლო აღმოსავლეთით—მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს საბჭოთა ხალხი შეეგება მნიშვნელოვანი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე არა თუ მიღწეულია, არამედ გადაჭარბებულიცაა. უკვე მიმდინარე ოქტომბერში მთელი მრეწველობის პროდუქციამ 50-ზე მეტი პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საშუალოთვიურ გამოშვებას. ჩვენი მრეწველობა ამჟამად მუშაობს მნიშვნელოვნად უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ომამდე, და უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო 1950 წლისათვის. მიღწეულია სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებში, რომლებიც მტრის ოკუპაციით დაზარალდნენ.

საბჭოთა ხალხს ყველა საფუძველი აქვს თქვას, რომ ომისშემდგომი ხუთწლედი ვადამდე შესრულდება.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. მიმდინარე წლის მარცვლეული კულტურების მოსავალმა 1940 წლის დონეს გადააჭარბა. მარცვლეულის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაჭრილია. შემდგომი წარმატება ამ დარგში მტკიცე საფუძველზეა დამყარებული. 1949 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 128 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. სწრაფად იზრდება ჩვენი მიწათმოქმედების ტექნიკური აღჭურვა. წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს 3-4-ჯერ მეტ ტრაქტორსა და სხვა მანქანას, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა ახალი, მძლავრი აღმავლობის ხანაში შევიდნენ. ამ საფუძველზე განუხრელად დიდდება საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. უკანასკნელ წლებში პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, ფულის რეფორმის ჩატარებისა და საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ, დიდად ამაღლდა მუშებისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი. შემცირდა გლეხთა ხარჯი სამრეწველო საქონლის საყიდლად. ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. ომისშემდგომი ხუთწლედის სამი წლისა და ცხრა თვის განმავლობაში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებული და აღდგენილია 61 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. სოფლელ რაიონებში ამავე დროის მანძილზე აღდგენილი და აგებულია ორ მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა სწრაფ ზრდას თან ახლავს მნიშვნელოვანი წარმატება მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში. მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებული, ერთგულად ემსახურება ჩვენი სამშობლოს ძალებისა და ძლიერების განმტკიცების საქმეს, უსაზღვრო შესაძლებლობას ქმნის საბჭოთა ქვეყნის აურაცხელი სიმდიდრის გამოსაყენებლად. საბჭოთა მეცნიერება მიმართულია იმისაკენ, რომ ემსახუროს მშვიდობის და ჩვენი სამშობლოს აყვავების საქმეს.

საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წარმატება ერთხელ კიდევ და კიდევ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე მზარდი და წარმატების მქონე სოციალისტური სისტემის განუზომელ უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე, რომელსაც ღრღნიან შეურიგებელი წინააღმდეგობანი და რომელიც განიცდის ლპობასა და ხრწნას. კაპიტალისტური სამყაროს მთავარ ციტადელში — ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩნდება მოახლოებული ეკონომიური კრიზისის სულ უფრო მეტი ნიშანი. საკმაოა ითქვას, რომ სამრეწველო წარმოების დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1948 წლის ოქტომბრიდან 1949 წლის ოქტომბრამდე 22 პროცენტით შემცირდა. ეკონომიკა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისა, რომლებიც დამონებული არიან „მარშალის გეგმით", დიდი დაცემულობის მდგომარეობაშია. კაპიტალის ქვეყნებში სწრაფად ეცემა ხალხის მასების საარსებო დონე, იქ უკვე ახლა სულ ცოტა 40 მილიონი უმუშევარი და ნახევრადუმუშევარი ითვლება.

გასაკვირველი როდია, რომ ამ პირობებში იმპერიალიზმის ბანაკი შეპყრობილია შეშფოთებით. ყველაზე აშკარა იმპერიალისტები ცოფდებიან, ბოროტდებიან, აძლიერებენ თავის ძირგამომთხრელ მუშაობას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთაც არა სურთ დაიჩოქონ ამერიკელი მილიარდერების წინაშე. იმპერიალისტური წრეები მდგომარეობიდან გამოსავალს კვლავ სამხედრო ავანტიურებში ეძებენ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მესვეურების აგრესიული პოლიტიკისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი მშვიდობის მომხრეა და იცავს მშვიდობის საქმეს. საბჭოთა ადამიანებს ომი არა სურთ და ყოველივე შესაძლებელს გააკეთებენ, რათა თავიდან აიცილონ იგი. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ დაშინებული ვართ იმით, რომ ომის გამჩაღებლები იარაღს აჩხარუნებენ. სამხედრო ავანტიურები იმპერიალისტებს, გარდა კატასტროფისა, სხვას არაფერს მოუტანენ.

საბჭოთა კავშირისათვის უცხოა ისეთი პოლიტიკა, რომელიც თავის ხელმძღვანელ პრინციპად ხდის სხვა ხალხების ეროვნული სუვერენიტეტის დათრგუნვას. მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ საბჭოთა კავშირს მოუხვეჭა მთელი მოწინავე კაცობრიობის მხურვალე სიყვარული და პატივისცემა. ახლა უკვე ყველა ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობის ურყევი ბურჯია. დიდი სოციალისტური სახელმწიფოს გარშემო, რომელიც მშვიდობის მედროშეა, ირაზმება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასობრივი მოძრაობა, როგორიცაა მოძრაობა, რომელსაც მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ბანაკი აერთიანებს. ხალხთა მასების ეს დღითიდღე სიგრძე-სიგანით მზარდი მოძრაობა ისეთ ძალას წარმოადგენს, რომელსაც უნარი შესწევს ალაგმოს აგრესორები. მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხი ემყარება სოციალისტური სახელმწიფოს ურყევ ძლიერებას, მთელ მსოფლიოში მილიონობით მშვიდობის მომხრეთა მხარდაჭერას. ჩვენი ძალები აურაცხელია. ისინი იზრდებიან და მტკიცდებიან დღითიდღე, მაშინ როცა კაპიტალიზმისა და ომის გამჩაღებელთა ძალები მცირდებიან. ჩვენ კი არა, იმპერიალისტებსა და აგრესორებს უნდა ეშინოდეთ ომისა! სწორედ ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილება, მსოფლიო განვითარების მთელი მსვლელობა უკანასკნელ ათეულ წლებში.

ცნობილია, რომ პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც იმპერიალისტებმა დაიწყეს, გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც იმპერიალისტებმა წამოიწყეს, გამოიწვია სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების დამყარება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვება. განა შეიძლება იყოს რაიმე ეჭვი, რომ თუ იმპერიალისტები დაიწყებენ მესამე მსოფლიო ომს, მაშინ ეს ომი გახდება სამარე უკვე არა ცალკეული კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის, არამედ მთელი მსოფლიო კაპიტალიზმისათვის.

დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან მთელ მსოფლიოში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ევროპასა და აზიაში საბჭოთა კავშირთან ერთად ახლა 800 მილიონამდე კაცს ითვლიან. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები თავისი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით რწმენით მიდიან წინ სოციალიზმის გზით და აშენებენ ახალ ეკონომიკასა და კულტურას. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის განსაკუთრებულ წარმატებას წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა. თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში ასობით მილიონი მშრომელი იბრძვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ახალ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებში მკაფიოდ ვლინდება ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. დიდი ოქტომბრის უძლეველი დროშა აერთიანებს მილიონობით მშრომელს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ოქტომბრის რევოლუციის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში სოციალისტურ მშენებლობაში, დიდი ჩინელი ხალხის ისტორიულ აღმავლობაში, გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასა და განმტკიცებაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მომხრეთა ბრძოლაში იმპერიალისტური აგრესიის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ქვეყანა დგას ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიმავალ სწორ გზაზე. იგი კომუნიზმისაკენ მიმავალი გზით წინ მიჰყავს ლენინ-სტალინის დიად პარტიას. ჩვენი პარტია რაზმავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, აერთიანებს მათ ღონისძიებებს დიადი მიზნის მისაღწევად — კომუნისტური საზოგადოების ასაგებად. კომუნისტური პარტიის სასიცოცხლო კავშირი ხალხთან დღითიდღე მტკიცდება. ეს არის ჩვენი პარტიის უძლეველობისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო. ჩვენი პარტია წარმოადგენს ერთიან, მონოლითურ და უძლეველ ძალას, რომელიც ახლა უფრო დარაზმულია, ვიდრე ოდესმე, ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო. საბჭოთა ხალხი ჩვენი გენიალური მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რწმენით ეგებება ხვალინდელ დღეს.

შედის რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წელში, ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხი უფრო მაღლა აღმართავს ოქტომბრის ძლევამოსილ დროშას, ლენინ-სტალინის პარტიის დროშას. დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„პრავდის" 8-XI მოწინავე

ორშაბათს, 14 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს VII სესია.
დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს საღამოს 7 საათიდან ძერჟინსკის სახელობის კლუბში.
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ჯარის ნაწილთა წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისადმი, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის ბრძენ მასწავლებელს, მამასა და ბელადს!

ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან წლისთავს ხვდებიან ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ახალი და ახალი ძალით აღაფრთოვანებენ მათ მამაცური შრომისათვის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

უდიდესი წარმატებებით აღინიშნა გასულ წელს სამეურნეო და კულტურული მშენებლობა. ჩვენი მრეწველობის საწარმოო ძლიერება ბევრად გადიდდა. საკოლმეურნეო მინდვრებში აღებულია უხვი მოსავალი. უფრო აყვავდა ჩვენი სოციალისტური კულტურა, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ჩვენ ბედნიერი ვართ მოგახსენოთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საბჭოთა საქართველომ ღირსეული წვლილი შეიტანა თქვენ მიერ დასახული დიად სამუშაოთა გეგმის შესრულებისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში.

წელს დაამთავრა და ამთავრებს ხუთწლიან გეგმას საქართველოს ბევრი საწარმო. ახალი ფართო გაქანება პოვა კაპიტალურმა მშენებლობამ. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანეს ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხორბლის, სიმინდის, თამბაქოს, ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. კვლავ გამრავლდა სოციალისტური შრომის გმირთა, სტახანოველთა, ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგები.

დიდი მიღწევებით აღინიშნა გასული წელი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში.

ვეგებებით რა ჩვენს დიად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, პირობას გაძლევთ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, რომ თბილისის მშრომელები და მთელი ქართველი ხალხი უფრო მეტი პატრიოტული აღმავლობითა და აღფრთოვანებით იბრძოლებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი წარმატებებისათვის, ახალი ნიმუშებით გაამდიდრებენ გმირულ შრომას საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, მთელ ძალღონეს მოახმარენ ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა კავშირის გმირული გამარჯვებანი, რაც წლითიწლობით მრავლდება, მთელი მსოფლიოსათვის ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში ამობრწყინებული კომუნიზმის მზე მთელ მსოფლიოში აფრქვევს სხივებს და გზას უნათებს ყველა ხალხს ახალი, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

გაიზარდა, გაფართოვდა, უფრო ძლიერი გახდა დემოკრატიული ბანაკი, რომლის ავანგარდი და ბურჯიც არის დიდი, მძლავრი საბჭოთა კავშირი. კაპიტალიზმი იძულებული გახდა კვლავ ძლიერ შევიწროებულიყო. სახალხო დემოკრატიის დროშა აფრიალდა ჩინეთში, რომელმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა. დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა ფრიალებს გერმანიის მიწა-წყალზე. ფართოვდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუღალავ მებრძოლს, შემოგყურებს სიყვარულით, მადლობითა და იმედით მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ასობით მილიონი ადამიანი მთელ მსოფლიოში მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის პოლიტიკას.

ამ პოლიტიკისადმი ერთგული საბჭოთა ხალხი გატაცებით ეწევა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. მაგრამ იგი ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტებისა და საერთაშორისო რეაქციის ყველა ხრიკს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა. ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ზრახვები განწირულია ჩასაფუშავად. ამის საწინდარია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, წარმატებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რაც მობრუნების პუნქტს მოასწავებს ევროპის ისტორიაში.

მხნედ, მტკიცე რწმენით შეჰყურებენ მომავალს საბჭოთა ადამიანები. ახმარენ რა მთელ ძალღონეს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ისინი ცხოვრობენ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით — უფრო ამრავლონ საყვარელი სამშობლოს ძლიერება და დიდება.

გისურვებთ, ძვირფასო მასწავლებელო, მამავ და ბელადო, მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ხალხთა საბედნიეროდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ციხე-სიმაგრეს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს—მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

აჭარის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმა

აჭარის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 100,2 პროცენტით შეასრულეს ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმა. დარგულია 1.446 ჰექტარი, მათ შორის 1.250 ჰექტარი ლიმონი და 196 ჰექტარი ფორთოხალი.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის დამზადების გეგმა

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად. მარცვლეულის დამზადება გრძელდება.

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სიმინდის დამზადების გეგმა

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 101,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სიმინდის ჩაბარების გეგმა სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად. სიმინდის დამზადება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ იოსებ სტალინს

მოსკოვი, კრემლი

პოლონეთის მუშათა კლასი და მთელი პოლონელი ხალხი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ თქვენ და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღეს და გისურვებენ შემდგომ თვალსაჩინო წარმატებებს, რომლებიც მთელი პროგრესული კაცობრიობის წარმატებებიცაა.

ჩვენ ხალხს მადლიერებით ახსოვს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ პოლონეთს დაუბრუნა დამოუკიდებლობა, რომ საბჭოთა კავშირის მძლავრმა შეიარაღებულმა ძალებმა მოგვიტანეს განთავისუფლება ჰიტლერული მონობისაგან. პოლონელ ხალხს არასოდეს არ დაავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით პოლონეთი დაადგა სოციალიზმის გზას. ამიტომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს პოლონეთში დღესასწაულობენ განსაკუთრებული სიხარულისა და ენთუზიაზმის ატმოსფეროში.

პოლონელი ხალხის გულსა და გონებაში ოქტომბრის რევოლუციის დიდი გამარჯვებანი, სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვება და მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული თქვენს სახელთან, და ამიტომ 7 ნოემბერს — საბჭოთა ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საზეიმო და სასიხარულო დღეს — პოლონელი ხალხი მოგმართავთ თქვენ — მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების დიდ ბელადსა და პოლონეთის დიდ მეგობარს — უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობებით.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეების — ლენინ-სტალინის იდეების ძლევამოსილ წინსვლას ვერ შეაფერხებს ვერავითარი ძალა. უშედეგო აღმოჩნდება ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა პროვოკაციები და მუქარა და მათი ტიტოურ-ტროცკისტული აგენტების დანაშაულებანი. პოლონეთის მშრომელი მასები, რომლებსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, პირობას გაძლევენ თქვენ, რომ ომის გამჩაღებელთა ხრიკების საპასუხოდ ისინი გააძლიერებენ და განამტკიცებენ ძმურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, რომ ლენინ-სტალინის მოწინავე პარტიის გამოცდილების შესწავლით ისინი გააძლიერებენ სიფხიზლეს მტრის ზრახვების მიმართ, სისტემატურად და განუწყვეტლივ გაზრდიან სახალხო პოლონეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალებს, განამტკიცებენ მშვიდობის საერთაშორისო ფრონტს.

7 ნოემბერს, ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა დღესასწაულის დღეს, პოლონელ ხალხს ღრმად სწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით პროგრესისა და დემოკრატიის ძალები უზრუნველყოფენ კაცობრიობისათვის მტკიცე მშვიდობასა და ბედნიერ მომავალს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავზე პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის და პირადად ჩემი სახელით მოგმართავთ თქვენ, ბ-ნო პრემიერო, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხებს და გულითადად ვისურვებთ იმ ქვეყნის შემდგომ მშვენიერ აყვავებას, რომელიც მთელი მსოფლიოს პროგრესისა და მშვიდობის ადამიანთა იმედი და სულისჩამდგმელია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა საბჭოთა კავშირის ხალხები, შექმნა მათგან პროგრესისა და მშვიდობის უძლეველი ციხე-სიმაგრე და დასაბამი მისცა ახალ ეპოქას მსოფლიოს ისტორიაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა კავშირის ძალისა და საბჭოთა არმიის გმირობის მეოხებით, პოლონელ ხალხს მოუტანა ჰიტლერული მონობისაგან განთავისუფლება, შეუქმნა მტკიცე პირობები პოლონელ ხალხს სოციალური სამართლიანობის წყობილების მშენებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხთა აყვავება და კეთილდღეობა და საბჭოთა კავშირთან გულითადი მეგობრობა პოლონელი ხალხის უშიშროებისა და მშვიდობიანი შრომის გარანტიაა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით პოლონელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანთან ერთად, იბრძვის და კვლავაც იბრძოლებს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის.

იუზეფ ცირანკევიჩი
პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო ნებას ვაძლევ ჩემს თავს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სახელით მრავალი წარმატება ვუსურვო სსრ კავშირის ხალხებს მათს შემოქმედებით შრომაში.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს უერთდება უდიდესი სიხარულის გრძნობით და რწმენით, რომ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მეგობრობა ძლევამოსილ საბჭოთა კავშირთან უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას და გზას ბედნიერი სოციალისტური მომავლისაკენ.

ანტონინ ზაპოტოცკი
ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

უნგრეთის მშრომელთა პარტიის და მთელი უნგრელი მშრომელი ხალხის სახელით მხურვალე კომუნისტურ სალამს გიძღვნით თქვენ და დიდ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო.

წარსულმა წელმა მთელი რიგი დიდი გამარჯვებანი მოუტანა მშვიდობის ანტიიმპერიალისტურ ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ გზა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხი დაადგა 32 წლის წინათ, ერთადერთი სწორი გზაა და საუკეთესო, თავისუფალი მომავლისაკენ მიდის. ჩვენს სამშობლოში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, მშრომელი ხალხი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური მომავლისადმი მტკიცე რწმენით მიჰყვება ჩვენი განმათავისუფლებლის — დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითს. ჩვენი ახალი მიღწევანი და წარმატებანი კიდევ უფრო უძლიერებენ და განუმტკიცებენ ჩვენს ხალხს მადლობის გრძნობას და იმის შეგნებას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავი ამავე დროს ჩვენი დღესასწაულიც არის.

ამიტომ ამ დღეს სულითა და გულით მივესალმებით სახელოვან საბჭოთა კავშირს, ბრძოლებში გამობრძმედილს საბჭოთა ხალხის მოწინავე რაზმს — დიად ბოლშევიკურ პარტიას, მოგესალმებით თქვენ, მთელი პროგრესული კაცობრიობის საყვარელ ბელადს, აგრეთვე გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს თქვენი მიზნების მიღწევაში.

მატიას რაკოში
უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

გთხოვთ ნება მიბოძოთ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და პირადად ჩემი სახელით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და პირადად თქვენ მხურვალედ მოგილოცოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის — კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მოვლენის 32-ე წლისთავი.

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით სსრ კავშირი წარმატებით აშენებს ახლა კომუნიზმს და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა მსოფლიოში, იგი ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის საიმედო და უძლეველი ბურჯია მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის და პირადად თქვენი დიდსულოვანი დახმარების მეოხებით რუმინელი ხალხი, სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებული და საბჭოთა ხალხების გმირული მაგალითით აღფრთოვანებული, სოციალიზმს აშენებს თავის თავისუფალ და დამოუკიდებელ სამშობლოში, გაბედულად მონაწილეობს მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის ბრძოლაში, ბანაკისა, რომელსაც გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქვეყანა ხელმძღვანელობს.

რუმინელი ხალხი მადლობას და მხურვალე სიყვარულს უგზავნის საბჭოთა კავშირსა და პირადად თქვენ, ხალხთა გენიალურ ხელმძღვანელს, და ახალ-ახალ წარმატებას უსურვებს საბჭოთა ხალხს დიად საქმეში, რასაც იგი მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ ახორციელებს.

დოქტორი პეტრუ გროზა
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

გენერალისიმუს იოსებ სტალინს

მხურვალედ მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის განუწყვეტელი ზრდის საქმეში. საუკეთესო სურვილები მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ბანაკის უბადლო ძალებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ვუსურვებ სამუდამო მეგობრობასა და თანამშრომლობას ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მაო ძე-დუნი
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო ჩემი სახელით და გერმანელი ხალხის სახელით გულითად მოლოცვას გითვლით თქვენ და თქვენი მეშვეობით საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს.

წელს გერმანიის დემოკრატიული ძალები განსაკუთრებული სიხარულით დღესასწაულობენ 7 ნოემბერს, რადგან საბჭოთა მთავრობამ, გადასცა რა მმართველობის ფუნქციები გერმანიის ორგანოებს, შესაძლებელი გახადა და ხელი შეუწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, პირველმა ცნო ეს ახალი მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკა და გაუცვალა მას დიპლომატიური მისია. ამით საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა ხალხის ეროვნული ღირსებისა და თვითგამორკვევის უფლების პატივისცემაზე დამყარებული თავისი საგარეო პოლიტიკის ლენინურ-სტალინური პრინციპებით, დაგვიმტკიცა თავისი მეგობრობა და დამარცხებული გუშინდელი მოწინააღმდეგისადმი სულგრძელობის აქტით გადადგა ჭეშმარიტად ისტორიული ნაბიჯი, მიმართული ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა და გერმანელი ხალხის მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, მის მთავრობასა და მის დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და ბელადს გენერალისიმუს სტალინს!

ვილჰელმ პიკი
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, ბულგარელი ხალხის და პირადად ჩემი სახელით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმოთ და წარმატება გისურვოთ თქვენ და თქვენი სახით მეგობარ საბჭოთა მთავრობას და მოძმე საბჭოთა ხალხს.

ვბედავ დავარწმუნოთ, რომ მონარქისტულ-ფაშისტური დიქტატურის უაღრესად მძიმე დღეებშიც ბულგარელი ხალხი დიდი ოქტომბრისაგან იღებდა ძალასა და მხნეობას, რომ ბულგარელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მძლავრმა საბჭოთა კავშირმა—ოქტომბრის რევოლუციის პირმშომ — გაათავისუფლა იგი გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან, უზრუნველყო მისი ეროვნული დამოუკიდებლობა და მოიგერია მტაცებელნი, რომელნიც ხელყოფდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიას.

დღეს, როცა საერთაშორისო რეაქცია ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების მეთაურობით ბოროტი ცილისწამებით, ფალსიფიკაციითა და უპატიოსნო მისწრაფებით ესხმის თავს ჩვენს სამშობლოს, ბულგარელი ხალხი გრძნობს, რომ მას ურყევ ბურჯად უდგანან მხარში მეგობარი საბჭოთა მთავრობა, მოძმე საბჭოთა ხალხი, მისი დამცველი და მეგობარი დიდი სტალინი და იგი მტკიცედ მიდის სოციალიზმის გზით.

ყველაზე დიდი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა გიორგი დიმიტროვმა, ის არის, რომ თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. ბულგარეთის მთავრობა და ბულგარელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბოლომდე ერთგული იქნებიან ამ ანდერძისა.

ვასილ კოლაროვი
ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი

გენერალისიმუს სტალინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო პატივი მაქვს ალბანელი ხალხის, მისი მთავრობისა და პირადად ჩემი უაღრესად მხურვალე მოლოცვა გიძღვნათ თქვენ და თქვენი მეშვეობით სახელოვან საბჭოთა ხალხებსა და ბოლშევიკურ პარტიას. დღესასწაულობს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს, ალბანელი ხალხი გამოთქვამს სიყვარულსა და უსაზღვრო ნდობას, რასაც იგი გრძნობს დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, ბოლშევიკური პარტიისა და თქვენდამი, გენერალისიმუსო სტალინ. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შუქით გასხივოსნებული ალბანელი ხალხი სახელოვანი საბჭოთა კავშირისა და ბოლშევიკების დიადი პარტიის მხრივ დახმარებისა და მუდმივი დაცვის მეოხებით თავის ახალ ცხოვრებას ქმნის. ჩვენი ხალხი დღითიდღე უფრო გააძლიერებს თავის მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან, სოციალიზმისა და კომუნიზმის ქვეყანასთან, რომელიც მას თავის დამცველად და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამცველად მიაჩნია. იგი, მიჰყვება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ ნაჩვენებ გზას, იმუშავებს და იბრძოლებს, რათა დაიცვას მშვიდობა და დემოკრატია, რათა ააშენოს თავისი ბედნიერი ცხოვრება, სოციალიზმი საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით და მისი აქტიური დახმარების მეოხებით.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს, გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს, მშვიდობის, დემოკრატიისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის დამცველს. გაუმარჯოს ბოლშევიკების სახელოვან პარტიას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და სსრ კავშირის ყველა გამარჯვების ორგანიზატორს. ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს მთელი პროგრესული კაცობრიობის სახელოვანი ბელადი და მასწავლებელი გენერალისიმუსი სტალინი.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი
ენვერ ხოჯა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ბატონ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი, კრემლი

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, გადმოგცეთ თქვენ და ძლიერი საბჭოთა ხალხის ყოველ შვილს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრელი ხალხისაგან უაღრესად გულწრფელი სურვილები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის გამო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ყველაზე მნიშვნელოვანი მობრუნებაა კაცობრიობის განვითარებაში, მობრუნება, რომელმაც ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზა გაუხსნა ხალხებს. ამიტომ ეს დღე დღესასწაულია როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებისა, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისა, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, და იმ ხალხებისაც, რომლებიც ჯერ კიდევ იმპერიალისტების უღელქვეშ იმყოფებიან და იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისათვის. უნგრელი ხალხი მტკიცედ მიდის ოქტომბრის რევოლუციის იდეების გზით და მთელი ძალღონით მიიღებს მონაწილეობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიადი საქმისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე
არპად საკაშიჩი

თბილისის მშრომელთა ზეიმი

ჯერ კიდევ 6 ნოემბერს საზეიმოდ მოირთო თბილისი. დღესასწაულის წინადღეებში ფაბრიკა-ქარხნებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მოეწყო საზეიმო სხდომები, მიტინგები, შეჯამებულ იქნა საოქტომბრო შეჯიბრების შედეგები.

7 ნოემბრის მზიანმა დილამ უფრო გააძლიერა ხალხის საზეიმო განწყობილება. წითელი ალმებით, ლოზუნგ-პლაკატებით, დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტებით დამშვენებული ქუჩები და მოედნები დაფარა ათეულ ათასობით მოზეიმე მშრომელმა.

ბერიას მოედნისაკენ — საქართველოს დედაქალაქის გულისაკენ ისწრაფვიან მშრომელთა მრავალრიცხოვანი კოლონები. საამაყო მაჩვენებლებით, ძვირფასი საჩუქრებით მოდიან ისინი დემონსტრაციაზე. თბილისის მრავალმა ფაბრიკამ, ქარხანამ, საამქრომ, სამშენებლო ორგანიზაციამ და სტახანოველმა ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებანი.

ბერიას სახელობის მოედანი... თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის ფასადზე ელვარებენ ოქტომბრის ბელადების, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების დიდი ლენინისა და დიდი სტალინის პორტრეტები. შენობის თავზე ბრწყინავს მსოფლიოს ყველა მშრომელის სურვილისა და მისწრაფების გამომხატველი სიტყვები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დილის 10 საათია...

მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ზ. კეცხოველი, ვ. ბაქრაძე, ს. იშხანოვი, ნ. რუხაძე, კ. ციმაკურიძე, მ. ლელაშვილი, ი. კოჩლამაზაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, თ. ქვლივიძე, ა. ჯიშიაშვილი, საწარმოთა წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

გაისმის ბრძანება:

— პარადო, სმენა!

მოედანზე მცირე ხნით სიჩუმე ისადგურებს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ჭიშკრიდან გამოდის არმიის გენერალი ა. ანტონოვი. მას შუა მოედანზე ეგებება პარადის სარდალი. იღებს რა პარადის სარდლისაგან პატაკს, გენერალი ჩამოუვლის ჯარის ნაწილებს, მიესალმება მათ და ულოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. პასუხად ჯარის ნაწილებში გრიალებს მძლავრი „ურა“ და „ვაშა“.

არმიის გენერალი ა. ანტონოვი ამთავრებს ჯარების შემოვლას, ადის მთავრობის ტრიბუნაზე და საქართველოს საბჭოთა მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით ამბობს სიტყვას. იგი მიესალმება საბჭოთა არმიის მებრძოლებს, ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს და მიულოცავს ოქტომბრის დიად დღესასწაულს. იგი ლაპარაკობს იმ დიდ მიღწევებზე, რომლითაც საბჭოთა ხალხი შეხვდა 7 ნოემბერს, კერძოდ ჩერდება საქართველოს მშრომელების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომით გმირობაზე, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების მძლავრ აღმავლობას მთელ მსოფლიოში, აშუქებს საბჭოთა არმიის წინაშე მდგომ ამოცანებს. გენერალი ა. ანტონოვი დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა სამშობლოს, მის შეიარაღებულ ძალებს, ჩვენი ყველა გამარჯვების შემოქმედს, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

პასუხად გუგუნებს მძლავრი ჯარისკაცური „ვაშა“, რომელიც მთელ მოედანს ეფინება, გრიალებენ საზეიმო სალუტის ქვემეხთა ზალპები, ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს.

— საზეიმო მარშისათვის ნაბიჯით იარ!—გაისმის ბრძანება. დაფდაფის ხმა ხალხს ამცნობს პარადის დაწყებას. იწყება პარადის მონაწილეთა საზეიმო გავლა. მტკიცე და მწყობრი ნაბიჯით ჩაივლიან ტრიბუნის წინ ქვეითები, მეავტომატეები, ყველა დანიშნულებისა და გვარეობის ჯარის ნაწილთა წარმომადგენლები.

გაისმის მოტორების თანაბარი გუგუნი. მოედანზე შემოდიან არტილერია, ტანკები... საბჭოთა ჯარებისა და მისი საბრძოლო ტექნიკის საზეიმო გავლას პარადის დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

დამთავრდა სამხედრო პარადი, რომელმაც ერთხელ კიდევ გვიჩვენა ჩვენი სამშობლოს ერთგული გუშაგის — საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყევი ძლიერება.

* * *

იწყება დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია. სიმღერით, ყვავილებითა და დროშებით შემოდიან ბერიას მოედანზე ლენინის რაიონის მოსწავლეები და პიონერები, რომლებსაც მოაქვთ ახალგაზრდობის დიდი მეგობრის, ბრძენი სტალინის პორტრეტები. მოედანს კიდით კიდემდე ეფინება მათი მხიარული ჟრიამული. მთავრობის ტრიბუნიდან გაისმის მისალმების შეძახილები:

— გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს!

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

დემონსტრანტები ამ მისალმებებს მქუხარე ვაშათი უპასუხებენ.

მოსწავლეთა შემდეგ გამოჩნდა სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის კოლონები. დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონეა ეს ქარხანა. ნახევარი საუკუნის წინათ ახალგაზრდა სტალინი ამ ქარხნის მუშებს უშუალოდ რაზმავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დემონსტრანტთა რიგებში ჩვენი რესპუბლიკის მრავალი სახელოვანი ადამიანია.

ერთიმეორის მიყოლებით მოდიან ლენინის რაიონის მრავალრიცხოვან საწარმოთა კოლექტივები—საორთქლმავლო და საელმავლო დეპოელები, ავტოსარემონტო ქარხნის მუშები, რკინიგზის მუშაკები. ყოველ მათგანს მოაქვს მათი თავდადებული შრომის ამსახველი ტრანსპარანტები. ბევრს ამშვენებს საამაყო წარწერა: „ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია ოთხ წელიწადში“, „შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 200 პროცენტით...“.

ტრიბუნის წინ მწყობრად მიდის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის მესამე კვარტალის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ქარხანამ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში აითვისა სამი ახალი ტიპის დაზგის წარმოება.

მოდიან სტალინის რაიონის მშრომელთა კოლონები... მოედანზე პირველნი შემოდიან ფიზკულტურული ფორმით გამოწყობილი თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მოწაფეები, რომლებსაც წინ მიუძღვის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გაიოზ ჯეჯელავა.

მოწაფეები მოედანზე უჩვენებენ მრავალგვარ სასპორტო ვარჯიშს და გართობას. მოასფალტებულ ვრცელ მოედანზე ოსტატური განლაგებით ისინი წერენ ძვირფას სიტყვებს: „დიდება დიდ სტალინს!“. მოედნიდან გასვლის ჟამს ისინი ჰაერში უშვებენ ფერად ბურთს წარწერით: „მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში“. მოწაფეთა მორთულობა, მათი შემზადებული გამოსვლა საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

მოდის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც მიმდინარე წლის მესამე კვარტალის საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ახალი სახის ქსოვილების ათვისებისათვის მიკუთვნებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სტალინის რაიონის კოლონას ამშვენებს თბილისის საქალაქო საბჭოს გზისა და ხიდების მშენებლობის სამმართველოს ტრანსპარანტი წარწერით: „მელიქიშვილის ქუჩა რეკონსტრუირებულია“. ამ ორგანიზაციამ უმოკლეს ვადაში დაამთავრა მელიქიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის გრანდიოზული სამუშაოები. ახლა ლენინის ქუჩიდან უნივერსიტეტამდე გადაშლილია მოასფალტებული განიერი ქუჩა, რომელსაც ლამაზი გაზონები გასდევს. ეს ტრანსპარანტი სიმბოლოა იმ უდიდესი აღმშენებლობითი სამუშაოებისა, რომლებსაც თბილისელი ბოლშევიკები ეწევიან ჩვენს დედაქალაქში. სტალინის რაიონის მშრომელთა ლამაზად მოწყობილ კოლონებს შორის არის ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის სამჭედლოს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სახელოვანი კოლექტივი.

შრომისა და გამარჯვების ამსახველი მრავალგვარი მაკეტებით, ტრანსპარანტებით და დიაგრამებით გაიარეს მოედანზე მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების მშრომელებმა.

5 საათზე მეტ ხანს გასტანა სადღესასწაულო დემონსტრაციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250 ათასზე მეტმა თბილისელმა.

საღამოს თბილისის ცა გაანათა სადღესასწაულო სალუტის ზალპებმა.

მესამე ადგილზე საბჭოთა კავშირში

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგთა მიხედვით თბილისის მეორე ტყავგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ტ. თევდორაძე, მთავარი ინჟინერი მ. ძამაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. დავიდოვა) მოიპოვა მესამე ადგილი და მესამე პრემია 11.000 მანეთის რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ეს ქარხნის კოლექტივის პირველი გამარჯვებაა მიმდინარე წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დღესასწაული მოსკოვში

სამხედრო პარადი და მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია წითელ მოედანზე

7 ნოემბრის დაუვიწყარი დილა წითელ მოედანზე... ლენინის მავზოლეუმი ჭადარა კრემლის კედელთან, ჩაფიქრებული ვერცხლისფერი ნაძვები, ჯარის მწყობრი რიგები. შენობებზე—მოედნის გარშემო—ბოლშევიკური პარტიის დამფუძნებლების, ოქტომბრის გამარჯვების შთამგონებლების, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტები. ალისფერი დროშები ოქტომბრის მოწოდებათა ოქროს ასოებით, მოკავშირე რესპუბლიკების გერბები...

ტრიბუნები სავსეა. აქ არიან სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები, მრეწველობისა და სოციალისტური მინდვრების წარჩინებული სტახანოველები, სტალინური პრემიის ლაურეატები, გენერლები და ადმირალები, აკადემიკოსები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

მარჯვენა ტრიბუნაზე არიან სტუმრები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, ჩინელი ხალხის მშრომელთა წარმოგზავნილები, დემოკრატიული გერმანიის მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუმრები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

წითელი მოედნის საზეიმო სიწყნარეს უეცრად არღვევს ოვაციის გრიალი, როცა მავზოლეუმის გრანიტის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, გ. მ. პოპოვი, მ. თ. შკირიატოვი.

დილის 10 საათია. კრემლის კურანტების პირველ რეკასთან ერთად მოედანზე ცხენით გამოდის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი. მიიღო რა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ არტემიევის პატაკი, მარშალი ვასილევსკი ჩამოუვლის პარადისათვის ჩამწკრივებულ ჯარებს და ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მიულოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღესასწაულს. მწყობრ რიგებში გრიალებს მძლავრი რუსული „ურა“.

ჯარების შემოვლის შემდეგ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი სიტყვით მიმართავს წითელ მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს!

ამ ისტორიულ დღესასწაულს საბჭოთა კავშირის ხალხები ეგებებიან გადამწყვეტი გამარჯვებებით ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, დიდი მიღწევებით მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე განუწყვეტლად აუმჯობესებს ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობებს, ამაღლებს მის კეთილდღეობას.

საბჭოთა კავშირის მშრომელებისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრების მიღწევებში ცოცხალ განხორციელებას პოვებს სოციალისტური სამშობლოსადმი ჩვენი ხალხის მხურვალე სიყვარული, მისი უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა მთავრობისა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი.

კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენი სახელმწიფოს თითეული ახალი ნაბიჯით სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, სულ უფრო დამაჯერებლად ცხადი ხდება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კვლავ მცირდება სამრეწველო წარმოება, მკვეთრად ეცემა ხალხის ფართო მასების საარსებო დონე, იზრდება მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე, სულ უფრო ძლიერდებიან და მწვავდებიან შეურიგებელი ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი.

იმპერიალისტები ამ წინააღმდეგობათაგან გამოსავალს ეძებენ მშრომელთა საარსებო უფლებებზე შემდგომ შეტევაში, თავისუფლებისმოყვარე ხალხების დაჩაგვრასა და დამონებაში, აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკაში.

ამ მიზნით იმპერიალისტები და ომის გამჩაღებლები იყენებენ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა ბნელ ძალას—ფაშისტებს, პროვოკატორებს, ჯაშუშებს, თავის ერთგულ ლაქიებს—მემარჯვენე სოციალისტებს და ტიტოს საზიზღარ ბანდას.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ბრძენი და დიდი სტალინი, ეწევა თანმიმდევრულ და დაუღალავ ბრძოლას მშვიდობისათვის, უშიშროებისა და ხალხთა მეგობრობისათვის. საბჭოთა კავშირის ამ პოლიტიკას აქტიურად უჭერენ მხარს მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა მომხრენი. მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან. საბჭოთა ადამიანები და ყველა ქვეყნის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას ჩინელი ხალხის უდიდესი გამარჯვების შესახებ, რომელმაც შექმნა თავისი სახალხო რესპუბლიკა. ევროპის ისტორიაში შემობრუნების პუნქტს წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და როგორც ჩვენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა: არ შეიძლება დავეჭვდეთ, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ევროპაში ახალი ომების შესაძლებლობას და შეუძლებელს ხდის მსოფლიო იმპერიალისტების მიერ ევროპის ქვეყნების დამონებას.

ამხანაგებო!

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ამასთან ერთად საბჭოთა ადამიანები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც მიუძღვიან ბოლშევიკების პარტია და დიდი სტალინი, უფრო ენერგიულად იბრძოლებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის შემდგომი და უფრო დიდი აღმავლობისათვის, ჩვენი სახელმწიფოს, როგორც ხალხის კეთილდღეობის საფუძვლის, მშვიდობისა და უშიშროების გარანტიის, ეკონომიური ძლიერების ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში და ღირსეულად დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ ივიწყებენ თავის ძირითად ამოცანას—ფხიზლად დაიცვან მოპოვებული მშვიდობა და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა მეომრები ვალდებული არიან დაუღალავად სრულყონ თავიანთი სამხედრო ოსტატობა, ყოველდღიურად და ბეჯითად დაეუფლონ სტალინურ სამხედრო მეცნიერებას, თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, გააძლიერონ სიფხიზლე, მტკიცედ დაიცვან ჩვენი სოციალისტური სამშობლო, დაიცვან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები!

საბჭოთა ხალხს შეუძლია არ დაეჭვდეს, რომ მისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მშვიდობის ბურჯს წარმოადგენენ, ღირსეულად მოიხდიან ვალს სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთორმეტე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

დიდება ჩვენს დიდ ბელადს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ძვირფას და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

ვაშა!

* * *

მარშალი ამთავრებს სიტყვას და დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების შემქმნელს — ბოლშევიკების დიად პარტიას, ყველა მშრომელთა საყვარელ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ჰაერს აზანზარებს სადღესასწაულო საარტილერიო სალუტის ზალპები. ნაკრები ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

კვლავ ფანფარები, კვლავ ბრძანება, და იწყება 1949 წლის ოქტომბრის სამხედრო პარადი.

წითელ მოედანზე შემოდის და ოქტომბრის პარადს იწყებს საბჭოთა არმიის ოფიცერთა კადრების სამჭედლო — მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი, ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის I ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემია. კოლონას მეთაურობს მისი უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. დ. ცვეტაევი.

ათასობით ადამიანის მკაფიო სამხედრო ნაბიჯის მწყობრი ხმა, მისასალმებელი შეძახილები ტრიბუნიდან, საბჭოთა მარშების ნათელი და სასიხარულო ხმები — სადღესასწაულო პარადის ამ თავისებურ სიმფონიაში იჭრება საავიაციო მოტორების გუგუნი. და ერთიანდება ორი პარადი: მიწაზე და ჰაერში.

წითელ მოედანს გადაუვლის სტალინური ავიაცია, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა არმიის სახმელეთო და საჰაერო ძალების ურღვევე თანამოქმედების სიმბოლოს, თანამოქმედებისა, რაც მას უძლეველს ხდის მიწაზე, წყალსა და ჰაერში.

წითელ მოედანზე დაბლა გადაიფრენს საფლაგმანო ხომალდი. ავიაგამანადგურებელთა ესკორტით. იგი მიყავს საჰაერო პარადის სარდალს ავიაციის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტს ვ. ი. სტალინს.

ფლაგმანს მიჰყვებიან მძიმე ბომბდამშენები. წითელ მოედანზე ისინი მოჰყავს დიდი სამამულო ომის ვეტერანს, საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ რომანოვს.

ბომბდამშენები მიიმალნენ ცისფერ ნისლში ზამოსკვორეჩიეს იქით. რამდენიმე წუთი სიწყნარე, და ისტორიული მუზეუმის მხრიდან, თითქოს ყუმბარებიაო, გაბმული გუგუნით შემოიჭრებიან ჩქარი ავიაგამანადგურებლები. ისინი ისე გადაიქროლებენ, თითქოს სამ-სამი ერთად შეუდუღებიათო. ისინი ბევრნი არიან, ეს რგოლები, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა ტექნიკის სრულყოფას და სტალინური შევარდნების მაღალ ოსტატობას. ამ ელვისებური კოლონის მეთაურობის დიდი პატივი წილად ხვდა საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავების ათვისების ერთ-ერთ პიონერს, გვარდიის პოდპოლკოვნიკ ასტახოვს.

საჰაერო პარადი ისევე უეცრად მთავრდება, როგორც დაიწყო. და კანონიერი სიამაყით ივსება საბჭოთა ადამიანების გული, რომელთაც ბედნიერება ხვდათ ამ საუცხოო სანახაობას დასწრებოდნენ. საბჭოთა ადამიანების ფრთიანი მოდგმა დღითიდღე სულ უფრო მაღლა, სულ უფრო ჩქარა დაფრინავს...

...ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის ორდენოსანი საარტილერიო აკადემიის კოლონას მეთაურობს ამ უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის აღზრდილი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გ. ვ. პოლუექტოვი.

ტანკისტ ოფიცრებს, ი. ბ. სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის მსმენელებს მოუძღვის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვასილიევი.

წითელ მოედანზე, მავზოლეუმისაკენ სწორებით, მოდიან დამსახურებული ოფიცრები, რომლებმაც თავისი ერთგულება და სიმტკიცე ცხადყვეს დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. და ყოველი მათგანის საბრძოლო საგმირო საქმენი სამშობლომ ღირსეულად აღნიშნა: მათ შორის ერთიც არ არის ისეთი, რომელიც დაჯილდოებული არ იყოს საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

...მფრინავები ჰაერში და მფრინავები მიწაზე. წითელ მოედანზე მოდიან საბჭოთა არმიის წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის, ჟუკოვსკის სახელობის წითელდროშოვანი, ლენინის ორდენოსანი სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის კოლონები. ისინი ამზადებენ ფრთიან მეომრებსა და ინჟინერ-კონსტრუქტორებს. ჟუკოვსკის სახელობის აკადემიაში აღიზარდნენ მსოფლიოში საუკეთესო თვითმფრინავთა შემქმნელები, სოციალისტური შრომის გმირები იაკოვლევი, ილიუშინი, მიქოიანი და სხვები.

ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური ლენინის ორდენოსანი აკადემია...

ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო წითელდროშოვანი აკადემია... ზედიზედ მოდიან უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები.

პარადი გრძელდება, მაგრამ საგრძნობლად შეიცვალა მისი რიტმი. თავისუფალი, მსუბუქი ნაბიჯით, მჭიდრო წყობით მოდიან საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მეზღვაურები. შავი ფარაჯები, შავი უწინაფრო ქუდები, ხიშტების შავი ხაზები. თეთრ-ცისფერი სამხედრო-საზღვაო ალამი ფარავს მეზღვაურთა, რუსული ფლოტის სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრეთა ამ მკაფიო წყობას.

მეზღვაურები შეცვალეს საბჭოთა არმიის უძველესი სასწავლებლის — რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მითითებით 1917 წელს შექმნილი მოსკოვის წითელდროშოვანი ქვეითი სასწავლებლის კურსანტებმა.

უნაკლო წყობით წითელ მოედანზე მოდის მესაზღვრეების — სამშობლოს მამაცი გუშაგების კოლონა. ისინი პირველნი გაუმკლავდნენ ფაშისტთა ურდოების დარტყმას საყვარელი სამშობლოს საზღვრების დაცვისას და თავისი მამაცობით აღაფრთოვანეს მსოფლიო. ისინი ახლაც საბჭოთა კავშირის მთელ მრავალათასკილომეტრიან საზღვარზე დღისითა და ღამით იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

მოედანზე შემოდის საბჭოთა ქვეითი ჯარი—მსოფლიოში საუკეთესო ქვეითი ჯარი. ხიშტითა და გრანატით, მტრისადმი სწრაფი დარტყმით, უმაგალითო მამაცობით მან სახელოვანი ფურცლები ჩასწერა ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

ქვეითი ჯარების საზეიმო მარშს ამთავრებენ პარადის ნორჩი მონაწილეები — სუვოროველები და ნახიმოველები.

ორკესტრი მკვეთრად იცვლის რიტმს. საყვირებს გამოყავთ „ჩორთის“ სიგნალის ჰანგები. მოედანზე შემოდის პოლკოვნიკ ლიტოვჩენკოს ესკადრონი. საბრძოლო დროშის ტარი ებჯინება სახელგანთქმული ცხენოსნის — საცხენოსნო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონის კაპიტან ლისოგორსკის უზანგს. ხმლიანი ესკადრონების რიგებს გრიალით მოსდევენ მარჯვე ტაჩანკები, ცხენოსანი არტილერიის ბატარიები...

ცხენოსანი ჯარის მარშის შემდეგ მუსიკას ახშობს მოტორების გუგუნი. გენერლის „ზის-110“-ის შემდეგ მოდიან სწრაფი ყველგანმავალი „გაზ“-ები, რომლებშიც სხედან ოფიცრები. აუარებელი მოტოციკლი, ჩვენს ქვეყანაში დამზადებული კეთილხარისხოვანი სატვირთო მანქანების დაუსრულებელი რიგები ქვეითჯარიანად, მძლავრი ავტომანქანა — საწევრები ზედმიბმული ზარბაზნებით, ტანკები. ორდენების ლენტები ამ ნაწილთა საბრძოლო დროშებზე მოწმობენ მათს სახელოვან საბრძოლო ისტორიას.

...წითელ მოედანზე შემოდის საარტილერიო კოლონა. მას მოუძღვის არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ნ. ფ. რიაბოვი. კოლონის თავში მოდიან მეზენიტეები. სახელოვანია მათი გზა! ამ ნაწილს დასაბამი მისცა „საარტილერიო ბატალიონმა“, რომელიც პუტილოველებმა ოქტომბრის იერიშის დღეებში შექმნეს. მის საბრძოლო დროშათა შორის არის წითელი დროშა, რომელიც ჩვენი ქვეყნის არტილერისტებს 1919 წელს გადასცა ყოფილმა პუტილოველმა მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა.

გუგუნი ძლიერდება, თითქოს ქარიშხალი ახლოვდებაო... მძიმე „ომის ღმერთის“ ნაბიჯი! რუსული ნაცადი „სამდუიმიანი“ და „ექვსდუიმიანი“ ზარბაზნების შემდეგ მოსრიალებენ ცქვიტი „კატიუშები“, ლაპლაპებენ მათი ვერცხლისფერი ყუმბარები. დიდდება ყალიბი — დიდდება საწევრების სიმძლავრე.

საარტილერიო კოლონა სოციალიზმის უძლეველი საბრძოლო ტექნიკის მძლავრი პარადია. ეს ტექნიკა შექმნილია საბჭოთა კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და მუშების შემოქმედებითი აზრითა და შრომით.

ნელი ტრაქტორების შემდეგ მოედანი ტანკებმა აავსეს. სალუტების საზეიმო გრიალით აღნიშნულია სტალინელი ტანკისტების გამარჯვებათა თარიღები და ადგილები მოსკოვის მიდამოებიდან სტალინგრადამდე და კურსკის რკალიდან ბერლინამდე.

მარდი, სწრაფი „ტრიდცატჩეტვიორკები“, ჯავშანმოსილი თვითმავალი ქვემეხები, სახმელეთო კრეისერები „ის“ — „იოსებ სტალინი“— მრავალსახოვანია საბჭოთა სატანკო ტექნიკა. საბჭოთა ადამიანების ხელში ეს ტექნიკა სასწაულებს ჩადიოდა: მან შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ადამიანებს გამარჯვებული გამოსულიყვნენ „მანქანების ბრძოლაში“ ორიოლსა და კურსკს შუა.

პარადი დამთავრდა... სამხედრო ფარაჯით გამოწყობილმა ათასობით საბჭოთა ადამიანმა საზეიმო მარშით გაიარა დღეს ძველისძველ წითელ მოედანზე და ცხადყო მზარდი ძლიერება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც იცავენ ჩვენი ხალხის ბეჯით შრომას, რომლებიც დგანან მთელ მსოფლიოში მშვიდობის საგუშაგოზე.

* * *

...ისტორიულ მუზეუმთან ალისფრად აკიაფდნენ დროშები. კვლავ აჟღერდნენ ორკესტრები. დაიწყო მოსკოველთა სადღესასწაულო სვლა. ადამიანთა ფართო ნაკადით აივსო წითელი მოედანი ქვის ტრიბუნებიდან კრემლის კედელთან მთავარი უნივერმაღის შენობამდე. კოლონების თავზე აღმართულია ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ტილოები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით.

რაიონების კოლონების წინ მოდის 24 ათასი სპორტსმენი...

დღეს დედაქალაქის მშრომელები პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს უპატაკებენ თავიანთი ომისშემდგომი შრომითი წარმატებების შესახებ. წელს მოსკოვი — ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე — ინიციატორია მრავალი პატრიოტული წამოწყებისა, რომლებიც მთელმა საბჭოთა ხალხმა გადაიღო.

დემონსტრანტების პირველ ნაკადში მოედანზე ერთდროულად მოდიან 12 რაიონის — ლენინის, კიროვის, მოლოტოვის, კრასნაია პრესნიას, საბჭოს და სხვა რაიონების კოლონები. ყოველი კოლონის სათავეში 100 მედროშეა.

მოდიან ლენინის რაიონის — დაზგათმშენებლი რაიონის, სამეცნიერო დაწესებულებათა რაიონის მშრომელები. მრავალი პლაკატი, პანო, დიაგრამა მოგვითხრობს რაიონის მშრომელთა შესანიშნავ გამარჯვებაზე: ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით შესრულებულია სამნახევარ წელიწადში. რაიონის კოლონის სათავეში მოდიან მეცნიერებათა აკადემიისა და მისი მრავალი ინსტიტუტის კოლექტივები. საბჭოთა მეცნიერებს მოაქვთ მეცნიერების კორიფეების — ლენინისა და სტალინის ორი დიდი პორტრეტი.

მოდიან „კრასნი პროლეტარისა“ და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის სახელოვანი დაზგათმშენებლები. წითელპროლეტარელებმა დღესასწაულის წინა დღეს სამშობლო გაახარეს ჩინებული საჩუქრით — გამოუშვეს ჩქარი დაზგა, როგორიც ჯერ არ იცის ტექნიკის ისტორიამ.

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კომბინატის ფეიქართა მსვლელობა. მათ მოაქვთ წითელი აბრეშუმის 12 უზარმაზარი ალამი, რომლებზეც დახატულია ლენინისა და სტალინის სილუეტები; მრავალი ფარი, რომლებზეც გაკრულია კომბინატის ქსოვილების ნიმუშები. მავზოლეუმს რომ გაუსწორდნენ, მათ ასწიეს ათასობით ხელი, რომელშიც სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ცხვირსახოცი ეჭირათ, და ამით შექმნეს ცისარტყელის ყველა ფერისა და იერის მთელი ზღვის ილუზია.

ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ფეიქართა შემდეგ მოდის მოსკოვის უნივერსიტეტის—ჩვენი ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებლის, კადრების უდიდესი სამჭედლოს მრავალათასიანი კოლონა. სტუდენტებისა და პროფესორების რიგების თავზე აღმართულია ჩვენი ქვეყნის მეცნიერების დიდ მოღვაწეთა — ლომონოსოვის, სეჩენოვის, მენდელეევის, პავლოვის პორტრეტები.

მოედანზე მოდის დემონსტრანტთა უწყვეტი ნაკადი. პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე ასახულია პატივისცემა და სიყვარული, რითაც საბჭოთა ხალხი ეპყრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას, მთელი მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის.

მოსკოველთა კოლონების თავზე ვხედავთ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდისა და პრემიერ-მინისტრ ანტონინ ზაპოტოცკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვასილ კოლაროვისა და ბულგარეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვილკო ჩერვენკოვის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მატიას რაკოშის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის არპად საკაშიჩისა და პრემიერ-მინისტრ იშტვან დობის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გეორგიუ დეჟისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პეტრუ გროზას, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ენვერ ხოჯას და სახალხო კრების თავმჯდომარის ომერ ნიშანის პორტრეტებს.

პლაკატებსა და პანოებზე წარწერილია საბჭოთა ხალხის ძმური სალამი ჩინელი ხალხისადმი, რომელმაც შექმნა თავისი სახალხო სახელმწიფო, სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო. მანიფესტანტების თავზეა განთავისუფლებული ჩინეთის ბელადის, ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, პრემიერ-მინისტრ ჯოუ ენ-ლაის და კომუნისტური პარტიის მდივნის ლიუ შაო-ცის პორტრეტები.

სადღესასწაულო ტილოებზე წარწერილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, მიძღვნილნი ახალი დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიისადმი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. ახალგაზრდა მუშებს მოაქვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბელადების ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლის პორტრეტები. მათ შემდეგ მოაქვთ კორეის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კიმ ირ სენისა და კორეის უმაღლესი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის პორტრეტები.

ერთ-ერთ კოლონას მოაქვს მონღოლი ხალხის ბელადის მარშალ ჩოიბალსანის პორტრეტი. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე მონღოლი ხალხი აშენებს თავის სახალხო რესპუბლიკას, წარმატებით ავითარებს თავის მეურნეობასა და კულტურას.

მაღლა უჭირავთ პანოები, რომლებზეც გამოსახულია ფრანგი ხალხის ბელადის მორის ტორეზის, იტალიელი ხალხის ბელადის პალმირო ტოლიატის, ამერიკის რევოლუციური მუშათა კლასის ბელადის უილიამ ფოსტერის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის, ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჰარი პოლიტის პორტრეტები.

ტრიბუნების წინ გამოჩნდა ვეებერთელა დროშა, რომელსაც აწერია: „სსრ კავშირი დიდი სარკინიგზო სახელმწიფოა“. დროშა წითელ მოედანზე მოაქვთ სახელოვან საბჭოთა რკინიგზელებს, რომლებიც წინ უძღვიან დედაქალაქის რკინიგზის რაიონის კოლონას. რკინიგზელები უპატაკებენ დიაგრამებითა და პლაკატებით: — 1949 წელს მიღწეულია 1950 წლისათვის დაგეგმილი საშუალო სადღელამისო დატვირთვის დონე.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის კოლექტივს, რომელიც კიევის რაიონის კოლონაშია, დროშასავით მოაქვს ორი წიგნის — საბჭოთა ადამიანების სამაგიდო წიგნებისა — ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის — ბოლშევიზმის ამ ენციკლოპედიის დიდი მაკეტები.

შჩერბაკოვის რაიონის კოლონას მოუძღვის ქარხანა „კალიბრის“ სახელგანთქმული კოლექტივი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცნობილია პატრიოტული წამოწყებებით. საყოველთაო სახალხო დღესასწაულისათვის ქარხანა კოლექტიური სტახანოვური მუშაობის საწარმო გახდა. მან პროდუქციის მოცულობის მიხედვით სამ წელიწადსა და შვიდ თვეში შეასრულა ხუთწლედი. ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოს სტახანოვურ კოლექტივს.

დიდი გამოგონება ჩაუქსოვიათ მოსკოველებს თავიანთი სადღესასწაულო კოლონების გაფორმებაში. საბჭოს რაიონის მშრომელებს მოაქვთ პანო, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ ხორციელდება მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური სტალინური გეგმა. უფრო და უფრო ლამაზი და დიდებული ხდება დიდი ქალაქი — ამწვანებენ მის მოედნებსა და ქუჩებს, მიმდინარეობს მაგისტრალების რეკონსტრუქცია, შენდება მაღალი და მრავალსართულიანი შენობები. ერთ-ერთ პანოზე ჩანს საგულისხმო ციფრი — 1 მილიონი. ეს დედაქალაქის იმ მცხოვრებთა რიცხვია, რომლებმაც გაზი მიიღეს ბინებში!

— ყველა ქვეყნის მშრომელნო! მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა! ამხილეთ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები! გააერთიანეთ მთელი ძალები მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საბრძოლველად! სალამი მშვიდობის საქმისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ყველა მებრძოლს!“. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ წინასაოქტომბრო მოწოდებას ვკითხულობთ ასობით ფარზე, რომლებიც დემონსტრანტების კოლონებს მოაქვთ.

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის ძირითადი ფაქტორია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება. ათასობით პანო და პლაკატი, რომლებიც მოსკოველთა კოლონებს მოაქვთ, მოგვითხრობს, თუ რა გმირულ მუშაობას ეწევიან დედაქალაქის მშრომელები სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

მავზოლეუმის წინ ჩაიარა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივმა. ოქტომბრის დღესასწაულის წინ აკადემიას მისი დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა. ალისფერ ტილოზე გამოყვანილია ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის სიტყვები: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან. ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას“. მოწინავე მიჩურინული მოძღვრების დროშა ახლა მეცნიერების მუშაკებთან ერთად მოაქვთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, სოციალისტური შრომის გმირებს, უხვი მოსავლისა და მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის ოსტატებს.

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს მუშაკებს მოაქვთ მხატვრულად შესრულებული პანო; პანოზე გამოსახულია ამხანაგი სტალინი, რომელიც დაჰყურებს მინდორსაცავი ტყის ზოლების რუკას. დიდი ბელადის მიერ დასახული ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა, რომელიც მიღებულ იქნა ერთი წლის წინათ, მთელი საბჭოთა ხალხის დაუღალავი მუშაობის საგანი გახდა. ჩვენი სამშობლოს უდიდეს სივრცეებში მიმდინარეობს უმაგალითო მასშტაბის გაბედული შეტევა გვალვის წინააღმდეგ.

ტრიბუნებიდან მიესალმებიან სტალინის რაიონის — ინდუსტრიული გიგანტების რაიონის კოლონას. ამ რაიონის მშრომელებმა ახალი საწარმოო საჩუქრებით გაახარეს სამშობლო. რაიონმა სამი წლის, სამი თვისა და 24 დღის განმავლობაში შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლედის დავალება.

ათასობით ლამაზი პანო, ლოზუნგი, პლაკატი და დიაგრამა მოაქვთ პროლეტარსკის რაიონის მშრომელებს. წინ მოდის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახელოვანი კოლექტივი. ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები ამშვენებენ ქარხნის ემბლემას. დღეს ავტოქარხნელებს განსაკუთრებით სასიხარულო დღე აქვთ. სრული 25 წლის წინათ, 1924 წლის 7 ნოემბერს, წითელ მოედანზე გამართულ პარადში მონაწილეობდა „ამო-ფ-15“ მარკის 10 ავტომობილი. ეს ქარხნის პირველი პროდუქცია იყო. სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე საწარმო სულ მთლად შეიცვალა. ეს ნახევრად შინამრეწველური სახელოსნო საბჭოთა ავტომობილმშენებლობის გიგანტი გახდა. აქ მსოფლიო პრაქტიკაში პირველად მოეწყო ახალ ავტომობილთა გამოშვება წარმოების შეუჩერებლად. ოქტომბრის 32-ე წლისთავი ავტოქარხნელებმა ახალი წარმატებით აღნიშნეს: კონვეიერიდან გადმოიღეს ათასობით ზეგეგმითი სატვირთო ავტომანქანა. ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან საბჭოთა ავტომობილმშენებლების მოწინავე რაზმს.

ტრიბუნებიდან ასევე გულთბილად მიესალმებიან დედაქალაქის მოწინავე საწარმოების — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის, „ნამგალი და უროს“, „კაუჩუკის“, ელექტროლამპის, პროჟექტორის, მოსკოვის საინსტრუმენტო და სხვა ქარხნების კოლექტივებს.

დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო სვლა, რომელიც გადაიქცა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრანდიოზულ დემონსტრაციად. დემონსტრაციაში ერთ მილიონზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. (საკდესი).

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას მოედანზე 1949 წლის 7 ნოემბერს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის ზეიმი საქართველოში

სოხუმი

ოქტომბრის დიად დღესასწაულს შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე ათასობით მუშამ და საწარმომ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

დღესასწაულის წინა დღეს საზეიმოდ მოირთო სოხუმის ლამაზი ქუჩები, მოედნები და შენობათა ფასადები. დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ჩატარდა სახელმწიფო ფილარმონიის ახალ შენობაში.

7 ნოემბერს გაიმართა დიდი დემონსტრაცია. ტრიბუნასთან ჩაიარეს სოხუმელმა მშრომელებმა, რომელთა შორის თავისი საამაყო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ თამბაქოს ფაბრიკის მუშები. მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 112 მილიონი ცალი პაპიროსი. სამაგალითო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს აგრეთვე მეფეხსაცმელეები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 7.500 წყვილი ფეხსაცმელი და სახელმწიფოს გეგმის ზევით მისცეს 353 ათასი მანეთი.

ამ დღეს დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო სოხუმის მოსწავლეთა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა. მოსწავლეებმა და ფიზკულტურელებმა მრავალი სასპორტო ვარჯიში შეასრულეს. სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა უჩვენეს მონტაჟი „ბრძოლა მშვიდობისათვის“. (საქ. კორ.).

ბათუმი

ქალაქი სადღესასწაულოდაა მოკაზმული. შენობების ფასადებზე გაჭიმულია წითელი ტრანსპარანტები, რომლებზეც აღბეჭდილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო მოწოდებები. აქვეა დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტები.

დღის თერთმეტ საათზე დაიწყო ბათუმის მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია. მოედანზე პირველად გამოჩნდა აჭარის მოწინავე საწარმოს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა ოქტომბრის დიდ დღესასწაულს.

მოდიან მთავარნავთგასაღების ბათუმის განყოფილების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომელთაც ოქტომბრის გეგმა 11 დღით ადრე შეასრულეს. მათ მოჰყვებიან ფანერისა და კოფეინის ქარხნების კოლექტივები; სავაჭრო ნავსადგურის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები.

მტკიცე ნაბიჯით მოდიან ბათუმელი სტუდენტები, საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები. მათ მოაქვთ ლოზუნგები, პლაკატები და თაიგულები, ტრიბუნის წინ ასრულებენ სხვადასხვა სახის ფიზკულტურულ ვარჯიშს, ცეკვებსა და სიმღერებს.

ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ბათუმელი მანქანათმშენებლების კოლონა, პურკომბინატის, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ტყავის ქარხნის, ციტრუსკომბინატის, თამბაქოს და საკერვალო ფაბრიკების, ლუდის ქარხნისა და სხვა საწარმოების კოლექტივები, რომელთაც სასახელო გამარჯვებებით აღნიშნეს დიდი დღესასწაული.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50 ათასამდე კაცმა.

8 ნოემბერს ქალაქში და მის გარეუბნებში გაიმართა მასობრივი სეირნობა და სპორტული შეჯიბრება.

სახელმწიფო თეატრმა 7 ნოემბერს მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“. (საქ. კორ.).

სტალინირი

დიდი ზეიმით იდღესასწაულეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავი.

7 ნოემბერს, მშრომელთა მრავალრიცხოვანმა კოლონებმა გაიარეს სტალინის სახელობის ახლადმოწყობილ მოედანზე. მათ შორის იყვნენ ქ. სტალინირის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება ჯერ კიდევ 1 ნოემბრისათვის 165 პროცენტით გაანაღდეს და სახელმწიფოს 169.000 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება მისცეს; აგურის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც დღესასწაულის წინა დღეებში წლიური გეგმის გადამეტებით 203.000 ცალი ნედლი აგური დაამზადა. მოდიან პედინსტიტუტისა და სკოლების სტუდენტები და მოსწავლეები.

მოედანზე აღმართული ტრიბუნიდან კოლონებს მიესალმებიან ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ამხანაგები.

მთავრდება დემონსტრაცია.

დიდხანს არ ნელდება ქალაქში საზეიმო განწყობილება. საღამოს კინოთეატრში მრავალმა მაყურებელმა ნახა აღმაფრთოვანებელი სურათი „სტალინგრადის ბრძოლა“. (საქ. კორ.).

ქუთაისი

მზიანმა ამინდმა უფრო საზეიმო ელფერი მისცა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრს, რომელიც წინადღით მოირთო.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტალინის სახელობის მოედანი — ქალაქის მშვენება და სიამაყე. დღის სრულ 12 საათზე სადღესასწაულოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადგილები დაიკავეს ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა, საწარმოთა სახელოვანმა ადამიანებმა.

დემონსტრაცია დაიწყო 200 ფიზკულტურელის გამოსვლით. ისინი შესცვალეს ქალ-ვაჟთა საშუალო სკოლების, პედაგოგიური, მუსიკალური, სახელოსნო სასწავლებლების, ავტომექანიკური, სატყეო, სამთო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და პედაგოგიური ინსტიტუტის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. მათ წინ მიჰქონდათ წარწერა: „ცოდნაშია ძალა, მეცნიერებაშია გამარჯვება“.

საკონსერვო ქარხნის ტრანსპარანტი იუწყებოდა, რომ წლიური გეგმა, ნაცვლად 7 ნოემბრისა, რაც სოციალისტური შეჯიბრებით ჰქონდათ ნაკისრი, 3 ნოემბრისათვის შეასრულეს და ქვეყანას დამატებით მისცეს 125 ათასი ქილა კონსერვი. აბრეშუმკომბინატის კოლონას წინ მოუძღოდნენ სახელგანთქმული ფეიქრები, წარმოების ნოვატორები. მათ შორის იყო რეზო ფილია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომბინატში ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვის გაუმჯობესებულ მეთოდს. პირადი ბარათის შემოღებით მარტო მისმა ბრიგადამ 41 ათასი მანეთის ნედლეული დაზოგა. სულ კომბინატელებმა განვლილ 10 თვეში დაზოგეს 8,4 ტონა პარკი, 3 ტონა ბამბის ნართი, 460 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი და, ამასთან, გასულ წელთან შედარებით 24,2 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება; 939 ფეიქარმა თვალსაჩინოდ გადაამეტა საშუალო პროგრესულ ნორმას.

ასევე წარმატებით წარდგნენ დღესასწაულზე საავტომობილო ქარხნის მშენებელთა, მაუდის ფაბრიკის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, მანქანათმშენებელი და ლიტოპონის ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობისა და რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივები. (საქ. კორ.).

გორი

7 ნოემბერს, დილიდანვე, საზეიმოდ გამოიყურებოდა ქალაქი გორი. ქუჩები, მოედნები, პარკები ხალხით გაივსო. ქალაქის მშრომელთა პატრიოტული ზეიმებისა და დემონსტრაციების ტრადიციული ადგილი — სტალინის პროსპექტი განსაკუთრებული გემოვნებით იყო მორთულ-მოკაზმული. დილის მატარებლებით მრავალი სტუმარი ეწვია გორს საოქტომბრო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

სრულ 11 საათზე და 30 წუთზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. სტალინის სახლ-მუზეუმთან ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით გაიარეს გორელმა მეკონსერვეებმა, რომელთაც მოჰქონდათ საწარმოო მიღწევათა ამსახველი დიაგრამები, ბამბეულის საქსოვი კომბინატის მშენებლებმა, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ტექნიკუმების, საშუალო სკოლების სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. მახლობელი სოფლების — ხიდისთავის, ატენის, ხელთუბნის, ტინისხიდის კოლმეურნე-დემონსტრანტებს თან მოჰქონდათ შუა ქართლის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ პროდუქტთა ნიმუშები. ფიზკულტურულმა კოლექტივებმა საუცხოოდ უჩვენეს სხვადასხვა ფიზკულტურული ნომრები. სახელმწიფო ეთნოგრაფიულმა გუნდმა კომპოზიტორ გ. სვანიძის ხელმძღვანელობით მოხდენილად შეასრულა სიმღერები სტალინზე, სამშობლოზე, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე. საოქტომბრო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ხევსურეთიდან გორში ჩამოსულმა ნაციონალური ტანისამოსით გამოწყობილმა ახალგაზრდებმა ტრიბუნის წინ შეასრულეს ფარიკაობა.

პირველ საათსა და 5 წუთზე ჩვენი სამშობლოს გულიდან, მოსკოვიდან, წითელი მოედნიდან რადიოქსელში ჩართულ იქნა ქალაქი გორი. რამოდენიმე წუთის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელები, მთელი მსოფლიოს მშრომელები უსმენდნენ დემონსტრაციის მსვლელობას იმ ქალაქიდან, სადაც დაიბადა პროგრესული კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. (საქ. კორ.).

რუსთავი

7 ნოემბერს, დღის 11 საათზე, დაიწყო მშრომელთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია ქალაქ რუსთავში. ტრიბუნის წინ პირველად გაიარეს ფიზკულტურელებმა, რომლებმაც სხვადასხვა სახის ვარჯიშის შესრულებით უჩვენეს თავიანთი სპორტული მიღწევები.

მოედანზე მწყობრად მოდიან რუსული და ქართული სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა კოლონები, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები თავიანთ აღმზრდელებთან ერთად. მათ მოაქვთ ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ დიდი სტალინისადმი, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს.

შემდეგ ტრიბუნას ჩაუარეს მშრომელთა კოლონებმა, მოწინავე საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რომლებმაც ოქტომბრის 32-ე წლისთავზე სამშობლოს უპატაკეს წლიური გეგმების ვადამდე შესრულება. (საქ. კორ.).

დარბაზობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკოსთან

7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ დარბაზობა გაუმართა დიპლომატიურ კორპუსს მოსკოვში.

დარბაზობას დაესწრნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალი ხ. ჩოიბალსანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარე ბ-ნი ხო-ხონი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნები ს. ლუბსანი, დ. მაიდარი და შარაპი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრი ბ-ნი ი. კარემანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ცოი ჩანიკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ი. დიკმანი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ლუი საიანი, ბელგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი ფერნანდ სონილი, შვეციის სახელმწიფო სავაჭრო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი პეინარ მუდიკი, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ფ. ჟოლიო-კიური, ლათინური ამერიკის ქვეყნების მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარე ბ-ნი ლომბარდო ტოლედანო, ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივანი ბ-ნი მორის სენე, საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი ბ-ნი ბერტი ჯუზეპე, ასოციაცია „საფრანგეთი-სსრ კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი ფერნანდ გრენიე, სავაჭრო, პროფკავშირული, კულტურული დელეგაციების მეთაურები.

საბჭოთა მხრიდან დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი და ი. ფ. თევოსიანი, სსრ კავშირის მინისტრები მ. ა. მენშიკოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ა. გ. ზვერევი, ს. ვ. კაფტანოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, ს. ა. აკოფოვი, ე. ი. სმირნოვი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ვლასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ლ. ა. გოვოროვი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ავიაციის მარშალი ს. თ. ჟავორონკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ლავრენტიევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები პ. ნ. კუმიკინი, მ. ა. სერგეიჩუკი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო, რსფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, გენერალ-პოლკოვნიკები ქ. ა. არტემიევი, ფ. ი. გოლიკოვი, პ. ფ. ჟიგარევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. (საქდესი).

მარშალი როკოსოვსკი პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრად დაინიშნა

ვარშავა, 7 ნოემბერი. (საქდესი). სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს 6 ნოემბრის სხდომაზე პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა განაცხადა, რომ მან მიმართა საბჭოთა მთავრობას თხოვნით გამოეგზავნა მარშალი როკოსოვსკი პოლონეთის მთავრობის განკარგულებაში პოლონეთის ჯარში სამსახურისათვის. ბერუტმა განაცხადა აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდა დაეკმაყოფილებინა ეს თხოვნა.

სახელმწიფო საბჭომ გადაწყვეტილება გამოიტანა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანოს მარშალი ჟიმერსკი და სეიმში შეიტანოს ამ წინადადებას.

ახალ სამუშაოზე გადასვლის გამო მარშალმა ჟიმერსკიმ თხოვნით მიმართა პრეზიდენტ ბერუტს ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ. პრეზიდენტმა ბერუტმა მიიღო ჟიმერსკის გადადგომა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცირანკევიჩის წინადადებით პრეზიდენტმა ბერუტმა დაამტკიცა მარშალი როკოსოვსკი პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრად.

ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლის გამო მარშალმა ჟიმერსკიმ ბრძანება გასცა პოლონეთის ჯარისადმი, რომლითაც იგი იტყობინება თავის გადადგომას და ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტზე მარშალ როკოსოვსკის დანიშვნას.

ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნის გამო მარშალმა როკოსოვსკიმ ბრძანება გასცა პოლონეთის ჯარისადმი მინისტრის პოსტზე თავისი დანიშვნისა და პოლონეთის ჯარის სარდლობის მიღების შესახებ.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა პოლონეთის მარშლის წოდება მიანიჭა კონსტანტინე როკოსოვსკის.

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 8 ნოემბერი. (საქდესი). დღეს შედგა პოლონეთის საკანონმდებლო სეიმის 69-ე სხდომა.

სეიმის დეპუტატები მხურვალედ მიესალმნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ბერუტს, რომელიც სეიმში მივიდა პოლონეთის მარშალ კ. როკოსოვსკისა და მარშალ ჟიმერსკის თანხლებით. სხდომას დაესწრნენ მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლებედევი და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები.

პარლამენტის ყველა ფრაქციის სახელით სეიმის დეპუტატი ჩერვინსკი მიესალმა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ბერუტის გადაწყვეტილებას პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრად მარშალ კ. როკოსოვსკის დანიშვნის შესახებ.

სეიმისა და მთელი პოლონელი ხალხის სახელით, თქვა ჩერვინსკიმ, მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობას, რომელმაც დააკმაყოფილა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნა და პოლონეთის მთავრობის განკარგულებაში გამოგზავნა მარშალი როკოსოვსკი.

სეიმის დღის წესრიგში შეიტანეს წინადადება 1947 წლის 19 თებერვლის კანონის შეცვლის შესახებ, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობას. ამ საკითხზე ილაპარაკა პრემიერ-მინისტრმა ი. ცირანკევიჩმა. თავის სიტყვაში ი. ცირანკევიჩი მიესალმა პოლონეთის მთავრობის შემადგენლობაში მარშალ კ. როკოსოვსკის შესვლას.

სეიმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის გაფართოების შესახებ და დაამტკიცა გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში მარშალ ჟიმერსკის შეყვანის შესახებ.

ამის შემდეგ სეიმი შეუდგა სეიმში შეტანილი კანონ-პროექტების განხილვას.

უცხოეთის გამოხმაურება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შესახებ გ. მ. მალენკოვის მოხსენების გამო

პოლონეთი

ვარშავა. 7 ნოემბერი. (საქდესი). პოლონეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა გ. მ. მალენკოვის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს 1949 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენება.

გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ორი სისტემის შეჯიბრება ნათლად გვიჩვენებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 7 ნოემბერი. (საქდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შესახებ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1949 წლის 6 ნოემბერს ამხ. გ. მ. მალენკოვის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა უნგრეთის საზოგადოებრიობაში.

უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ თავის ბიულეტენში გამოაქვეყნა მოხსენების სრული ტექსტი. უნგრეთის რადიომ დღეს სამჯერ გადასცა ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენების შინაარსი.

დღეს დილით გამოსულმა გაზეთმა „ვილაგოშაგმა“ — უნგრეთის მშრომელთა პარტიის ორგანომ — მოათავსა ამხ. მალენკოვის მოხსენების თითქმის სრული ტექსტი. სათაურში გაზეთს მოყავს მოხსენებიდან აღებული სიტყვები: „ჩვენ მტკიცედ ვიცით: სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვება მთელ მსოფლიოში გარდუვალია“.

მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „მადიარ ნაპმა“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 7 ნოემბერი. (საქდესი). დღეს გაზეთმა „სკინტეიამ“ გამოაქვეყნა გ. მ. მალენკოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1949 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს.

ბულგარეთი

სოფია, 7 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“ მოათავსა ცნობა გ. მ. მალენკოვის მიერ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენების შესახებ. ყველა გაზეთი აცხადებს, რომ შემდეგ ნომერში მთლიანად გამოაქვეყნებს ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენებას.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 6 ნოემბერი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გაავრცელა შინაარსი გ. მ. მალენკოვის მოხსენებისა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული ამხ. მალენკოვის განცხადება, რომ ატომის ენერგია საბჭოთა კავშირში ნიშნავს უმაგალითო წინსვლის ნაბიჯს მშვიდობიანი მშენებლობის დარგში, მაშინ როდესაც კაპიტალისტურ სამყაროში მას სიკვდილი მოაქვს. ცნობაში აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ საბჭოთა კავშირში გადააჭარბა ომამდელ დონეს.

იუნაიტედ პრესის სააგენტომ ლონდონიდან გაავრცელა გ. მ. მალენკოვის მოხსენების მოკლე შინაარსი.

ინგლისი

ლონდონი, 7 ნოემბერი. (საქდესი). ცნობები გ. მ. მალენკოვის მოხსენების შესახებ მოსკოვის საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო გამოაქვეყნა ლონდონის გაზეთების უმრავლესობამ. ცნობების სათაურები ბურჟუაზიულ გაზეთებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოხსენებაში გამჟღავნებულია შეერთებული შტატების მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ. გაზეთებს აგრეთვე მოჰყავთ გ. მ. მალენკოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ატომის ენერგია სამშვიდობო მიზნებს ემსახურება, რომ სსრ კავშირი ამჟამად უფრო მძლავრია, ვიდრე წინათ ოდესმე ყოფილა, და გარშემორტყმულია მეგობრული სახელმწიფოებით. გაზეთები ცალკე გამოყოფენ მალენკოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ არ ეშინია ომისა, რომელიც კაპიტალისტური სამყაროსათვის კატასტროფის მომასწავებელი იქნება.

გაზეთი „დეილი უორკერი“ ცნობას გ. მ. მალენკოვის მოხსენების შესახებ უკეთებს შემდეგ სათაურებს: „რუსეთის მთელი ძალღონე მიმართულია მშვიდობისაკენ. ომი მსოფლიო კაპიტალიზმის აღსასრულის მომასწავებელი იქნება. ატომის ენერგია რუსეთში პროგრესს ემსახურება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა. მდგომარეობა უფრო საიმედოა, ვიდრე ოდესმე წინათ ყოფილა“.

საფრანგეთი

პარიზი, 7 ნოემბერი. (საქდესი). პარიზის ყველა დღევანდელ გაზეთს მოყავს ამონაწერები და შინაარსი გ. მ. მალენკოვის მოხსენებისა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს მიეძღვნა.

გაზეთები უმთავრესად ხაზს უსვამენ სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე.

გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს — გ. მ. მალენკოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობის მომხრეა და იცავს მშვიდობის საქმეს და რომ სამხედრო ავანტიურები იმპერიალისტებს სხვას არაფერს მოუტანენ, გარდა კატასტროფისა.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო

პეკინი, 7 ნოემბერი. (საქდესი). დღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო სსრ კავშირის საელჩოში ჩინეთში დიდი დარბაზობა გაიმართა. დარბაზობას დაესწრო ათასზე მეტი კაცი: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები, საზოგადო და პროფკავშირული მოღვაწეები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. სტუმრებს შორის იყვნენ: ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი მეუღლით, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები ჯან ლანი, ლიუ შაო-ცი, ლი ცზი-შენი და მათი მეუღლეები, ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრი ხუან იან-ბეი მეუღლით, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი მეუღლით, განათლების მინისტრი პროფესორი მა სიუ-ლუნი, მძიმე მრეწველობის მინისტრი ჩენ იუნი, შრომის მინისტრი ლი ლი-სანი, იუსტიციის მინისტრი დოქტორი ში ლიანი, რკინიგზათა მინისტრი დენ ტაი-იუანი და სხვა მინისტრები, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შენ ჩუნ-იუ, კულტურისა და განათლების საქმეთა მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე გო მო-ჟო, სახელმწიფო კონტროლის მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარე ტან ტინ-შანი და მრავალი სხვანი. დარბაზობამ განსაკუთრებულ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ა. ი. ვიშინსკი აჩესონს ეწვია

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი გუშინ სსრ კავშირის ვაშინგტონელი ელჩის ა. ს. პანიუშკინის თანხლებით აჩესონს ეწვია სახელმწიფო დეპარტამენტში.

ჩეხოსლოვაკიელ გლეხთა დელეგაციის მიღება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში

უკვე ათი დღეა საქართველოში სტუმრად არის ჩეხოსლოვაკიელ გლეხთა დელეგაციის ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატი იაროსლავ ლედლი. ახლა მას შეუერთდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის კიდევ სამი ჯგუფი, რომლებიც აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარესა და როსტოვის ოლქში ყოფნის შემდეგ თბილისს ჩამოვიდნენ.

6 ნოემბერს საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში დარბაზობა გაუმართეს ჩეხოსლოვაკიელ გლეხთა დელეგაციას.

დარბაზობას დაესწრნენ: საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ალავიძე, მინისტრის მოადგილეები ამხანაგები მ. ბუჩუკიშვილი, ა. თოფურია, ი. კახიანი, ი. პატიაშვილი, გ. შავდია, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ალავიძემ მოკლე მოხსენებაში დაახასიათა, თუ როგორ გადაიქცა საქართველო მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სუბტროპიკული მეურნეობა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიელ გლეხთა დელეგაციის ხელმძღვანელმა — ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. ნედვედმა და დელეგაციის სახელით დიდი მადლობა გამოთქვა საქართველოში—დიდი სტალინის სამშობლოში ყოფნის შესაძლებლობის მიცემისათვის.

— ჩვენ საბჭოთა კავშირში ჩამოვედით იმისათვის,—თქვა ა. ნედვედმა,—რომ შევისწავლოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობის გამოცდილება. საბჭოთა კავშირში ყოფნისა და კოლმეურნეობათა გაცნობის დროს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ამ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის გარდაქმნის დარგში მუშაობისათვის.

დელეგაციის ხელმძღვანელმა დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ ხალხთა მეგობრობას, დიდ სტალინს, რასაც დამსწრენი ოვაციით შეხვდნენ.

დარბაზობის დამთავრების შემდეგ ჩეხოსლოვაკიელ გლეხთა დელეგაცია მიწვეული იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე. (საქდესი).

თეატრებში

10 ნოემბერს: ოპერისა და ბალეტის—დიდი კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის**—„კიდევ ერთი მსხვერპლი“ (სომხური თეატრის სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის**—„წყაროსთან“ (სომხური თეატრის სპექტაკლი).

11 ნოემბერს: ოპერისა და ბალეტის—ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო; **რუსთაველის სახელობის**—„გამარჯვებულთა ღიმილი“ (პრემიერა, 5 აბ. პირველი სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი“; **გრიბოედოვის სახელობის**—„განმარტოებული სახლი შესახვევში“; **მუსიკალური კომედიის**—„თბილისის ცას ქვეშ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 19 ნოემბერს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მ. ბ. ისმაილოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Наездник габробракон и его использование в борьбе с хлопковой совкой“.**
ოფიციალური ოპონენტები ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ბათიაშვილი** და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. თულაშვილი.**
მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მარის ქ. № 35) დილის 9 საათიდან საღამოს 5½ საათამდე.

მაზლიშვილები კუკუა, ბაცუნა, ლიზა, ვალოდია, მელიტონ, ევტიხი კახიანები, მულიშვილი ქეთი იოსელიანი ოჯახებით იუწყებიან **პაშა კახიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XI სოფ. მეორე ნიგოზრნაში (სამტრედიის რაიონი).

გ. საკანდელიძე, თ. გაჩეჩილაძე, გ. გაბიჩვაძე, ლ. გოგისვანიძე, ქ. გოგოლაშვილი, ქ. ცირეკიძე, ე. ლასხიშვილი, გ. მჭედლიძე, ვ. ღვაბერიძე, ს. ნადარეიშვილი, ს. გეგეშიძე, ლ. პაპავა, ს. ამაშუკელი, ნ. საკანდელიძე თანაგრძნობას უცხადებენ პ. გოლეთიანს მისი ძმის **არტამონ ანდრიას-ძე გოლეთიანის** გარდაცვალების გამო.

მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ბაჟუკოვი, ალექსიძე, ნოირაძე, კვარაცხელია, გიგაური, ჟორჟოლიანი, ლორთქიფანიძე, კრავაშვილი, ხუნდაძე, ჯანყარაშვილი, ჩიგოგიძე, მგელაძე, კაკულია, მუმლაძე იუწყებიან ნ. სანაძის დედის **ნატალიას** გარდაცვალებას.

შვილები კოლია, მანია, ეკატერინე, თინა, რძალი ვალია, სიძეები ა. ბზეკალავა, ს. შენგელია, შ. უგულავა შვილებით იუწყებიან, რომ 13-XI, 2 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია **ილია ეფრემის-ძე გოგიჩაიშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე მარგარიტა ვაშაძე, შვილი ნუნუ, ნათელა გამსახურდია და ქეთო გელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 13-XI, 3 ს. ქ. ჭიათურაში დანიშნულია **ანტონ ათანასეს-ძე ტუხიას** პანაშვიდი.

შვილი ნინო, სიძე ვალოდია, შვილიშვილები ლამარა, ზაირა, ლეილა ავსაჯანიშვილები, სონია, ეთერ, ლეილა კირიაკაშვილები იუწყებიან **იასონ ალექსის-ძე მიქანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI, სადგურ ჯუმათში.

შვილები **გიორგი**, თამარ, მარიამ, ელენე, სიძეები დ. შავდია, ი. ლაფერაშვილი, ვ. შაბურიშვილი, შვილიშვილები მზია ქმარაშვილით, ლია, ნათელა, მანუჩარ, თამაზ, თეიმურაზ იუწყებიან **მარიამ თედორეს ასულ ყარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-XI, 5 ს. პლეხანოვის პრ. 75.

მირიანაშვილი, ბაკაშვილი, გოგოშვილი, მანგიშვილი, შავლიაშვილი, ჩირაკაშვილი, ბურდულაძე, დარჩიაშვილი, ბალაშვილი, ნატროშვილი, მოლაშვილი, ლორთქიფანიძე, დოლენჯაშვილი, გოჩიტაშვილი, ბიწაძე, კაჭარავა, რევაზიშვილი, ზედგინიძე თანაგრძნობას უცხადებენ მენთეშაშვილს მისი მამის **სიმონ იოსების-ძე მენთეშაშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. ურუშაძე, ა. მენაღარიშვილი, ი. ნაკაიძე, ა. ნარეშელი, ნ. ზალიევა, თ. ქართველიშვილი, ჟ. აბესაძე, მ. კობახიძე, ა. სიბიკეევა, ნ. ჩიქოვანი, ე. კარდანახიშვილი და ქ. ციმინტია თანაგრძნობას უცხადებენ კათედრის გამგე პროფესორ ი. სარიშვილს მისი მამის **ფაუსტი სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. ურუშაძე, ლ. კალანდაძე, ი. ჯაში, გ. ჩაგელიშვილი, ტ. კვარაცხელია, ი. ბათიაშვილი, ხ. შალამბერიძე, ნ. ლაჭყეპიანი, პ. ჟღენტი, მ. ციციშვილი, ს. ჩხუბიანიშვილი, ი. დოლიძე თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ი. სარიშვილს მისი მამის **ფაუსტი სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

ჭანტურია, მარგალიტაძე, ნემსაძე, ესვანჯია, მერაბიშვილი, ღვინიაშვილი, ბარქაია, ნოდია, წულეისკირი, მალაზონია, მეტრეველი, უკლება, ოდიშარია, ვარდიაშვილი, ჩანტლაძე, გვახარია, ყარყარაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ შ. ნ. ჭალაგანიძეს მისი მამის **ნესტორის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ დ. ბერიშვილს **ბენო ფარნაოზის-ძე უშვერიძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10-XI, ლანჩხუთში.

მეუღლე მარო, შვილები ილია, გიორგი, კარლო, ალექსანდრე, ჟიჟინო, შურა, რძლები ლიდა, იმნაირა, ძაძუ, შვილიშვილები გიორგი, იური, ტატიანა, იგორი, სიძეები გ. ჯანაშია, რ. ჩაჩავა, შ. წულაია იუწყებიან **გრიშა კოკაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა (გეგეჭკორის რაიონი) ს. დიდიჭყონში.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კამკამიძეს მისი დედის **ქეთევან ლუარსაბის ასულ კამკამიძე-ბასილაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნ. შახნაბატოვი, შვილები ბორის, ირა და ლამარა იუწყებიან **მარიამ ნიკიტას ასულ შახნაბატოვას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XI, 5 ს. პასტერის, 4.

ვ. მაღლაფერიძე, ზ. ჯაფარიძე, ტ. არუთინოვი, ლ. დარიაშვილი, დ. ზვიადაძე, ვ. ჩაჩავა, ა. არაქელოვი, ა. ჩემია, ე. რაზმაძე, ი. არუთინოვი, შ. სიფრიშვილი, პ. ალექსეევი, ვ. ზვიადაძე, რ. ალიბეგოვი, ვ. მიქიაშვილი, გ. კარუევი, დ. ავალიანი, გ გულიძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ხახუბიას მისი მეუღლის **ლიდა ჩიტაია-ხახუბიას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილები არჩილ, სიმონ, სიდო, თინა მენთეშაშვილები, რძლები ნინო და ვარდიკო იუწყებიან **სიმონ იოსების-ძე მენთეშაშვილის** გარდაცვალებას.

აგრაფინა, ნიკიფორე, ნინო, მარიამ, თამარ, საშურა, ეთერ, ლაურა, ნანა, მარი, პოლიკარპე, ვანო, შალვა, ოთარ კვიცარიძეები და ვარლამ ჩარკვიანი თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ი. სარიშვილს მისი მამის **ფაუსტი თახოს-ძე სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

დ. დოლიძე, ვ. ლობჟანიძე, ნ. სანაძე, შ. ღვინეფაძე, გრ. ჯაფარიძე, ავთ. ნოირაძე, დ. კვარაცხელია, ბ. გადახაბაძე, კ. ბახტაძე, გრ. ნემსაძე, ს. ჟორჟოლიანი, მ. იობაშვილი, დ. ხუნდაძე, თ. ჯანყარაშვილი, ქ. კრავაშვილი, ვ. გედევანი თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ი. სარიშვილს მისი მამის **ფაუსტი თახოს-ძე სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილები შურა, სამსონ, ოლია ოჯახებით იუწყებიან **მარკოზ მოსეს-ძე ბუგიანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ონში.

ი. ანშილევიჩი, თ. აკოფაშვილი, ვ. გურგენიძე, ა. მხეიძე, კ. კვარაცხელია, კ. ბებურიშვილი, ლ. გუგუნავა, დ. ჭანტურია თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჭალაგანიძეს მისი მამის **ნესტორ ჭალაგანიძის** გარდაცვალების გამო.

თ. ქუთათელაძე, შ. მენაბდე, შ. ხეჩინაშვილი, ს. და მ. ებრალიძეები, ქ. სვანიშვილი, ლ. თურქია, ლ. და რ. სვანიძეები, ლ. ფხაკაძე, ს. და დ. გვაზავები, შ. ნათენაძე თანაგრძნობას უცხადებენ ბ. სანაძეს მისი დედის **ნატალია ივანეს ასულ სანაძის** გარდაცვალების გამო.

თ. თავართქილაძე, ი. სალაძე, შ. ხავთასი, ი. ამაშუკელი, ვ. ბოკუჩავა, ს. ფოცხვერაშვილი, ნ. ღლონტი, ა. ბუაძე, ნ. ჩაჩანიძე, ა. ჩავლეიშვილი, ს. ბოლქვაძე თანაგრძნობას უცხადებენ ი. უშვერიძეს მისი ძმის **ბენოს** გარდაცვალების გამო.

ანშილევიჩი, ბედუკაძე, ხაჯალია, ფეტულავა, ფანჩულიძე, კაკაბაძე, ლილუაშვილი, არეშევი, დოლიძე, მაკალათია, სესიაშვილი, ცინცაძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჭალაგანიძეს მისი მამის **ნესტორ რომანოზის-ძე ჭალაგანიძის** გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **ქსენია თეოფილეს ასულ არჩვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XI, 4 ს. ტარიელის შესახვევი, 9.

მიშა, შოთა, შუშანა, ნინო ჭანუყვაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ი. სარიშვილს მისი მამის **ფაუსტი თახოს-ძე სარიშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანეტა, შვილი ცილა, დები ელენე და ნატალია იუწყებიან **კოლია ჩიჩუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI, გალში.

მინადორა, თედო და ოლია მღებრიშვილები იუწყებიან ძმისა და ბიძის **კოლია ჩიჩუას** გარდაცვალებას.

სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელისაბედ ვარდანაშვილს მისი მეუღლის **პეტრე სიმონის-ძე ვარდანაშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მოროგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 150.000

უე 05609